№1160 2015 წლის 4 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2015 წელს განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი გამოყენების თაობაზე

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2015 წლის პირველი აპრილიდან 15 მაისის ჩათვლით გამოცხადებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომია შეადგენს 63 926.08 (სამოცდასამი ათას ცხრაას ოცდაექვსი ლარი და რვა თეთრი) ლარს.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიეცეს უფლება, ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომია მიმართოს საქართველოში 2015 წლის 3-4 ივნისს, ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership - OGP) რეგიონული კონფერენციის ორგანიზების უზრუნველყოფის დასაფინანსებლად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**